



ბალტ & თაპარტი
ვყვებით შესაძლებლობებს

სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორი საქართველოში

ივნისი 2024

ევა ბოჭორიშვილი, კვლევების დეპარტამენტის უფროსი
კახა სამყურაშვილი, სექტორული კვლევების უფროსი
ოთარ ცუხიშვილი, ანალიტიკოსი





კვლევის შინაარსი

საქტორის მიმოხილვა

მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები

სამშენებლო მასალების საქტორი

სარემონტო მასალების საქტორი

ავტის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის საქტორი

ქირითადი რიცხვები

- კვლევა ფარავს \$5.3 მილიარდის სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორს;
- ფოკუსირებულია 4 ძირითად ქვე-სექტორზე - სამშენებლო მასალები, სარემონტო მასალები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავეჯი & განათება;
- გაანალიზებულია 20,000 კომპანიის საქმიანობა;
- მოიცავს საგარეო ვაჭრობის 900 პროდუქტის ანალიზს;
- გაანალიზებულია 70-მდე საშუალო და დიდი ზომის კომპანიის აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები.

ძირითადი მიზნები

სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის შემოსავალი საშუალოდ 12.3%-ით გაიზარდა 2018-23 წლებში და \$5.3 მილიარდს მიაღწია 2023 წელს. აღსანიშნავია, რომ სექტორის ბრუნვის ორ მესამედს იმპორტირებული საქონელი შეადგენს და შედარებით მცირეა ადგილობრივი წარმოების წილი. იმპორტზე დამოკიდებულება შედარებით მცირეა სამშენებლო მასალების სექტორში, ხოლო მაღალია სარემონტო მასალების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის და ავეჯის სექტორებში.

სამშენებლო მასალების სექტორის შემოსავალი თითქმის გაორმაგდა 2020-23 წლებში, რაც პანდემიის შემდეგ მშენებლობის სწრაფი აღდგენით და ფასების ზრდით იყო განპირობებული. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო მასალების დიდი ნაწილი ადგილობრივად იწარმოება:

- **ცემენტის** მოხმარება ძირითადად ადგილობრივი წარმოებით (მოხმარების 93.1%) დაკმაყოფილდა 2023 წელს. ცემენტის ფასებმა სწრაფად დაიწყო ზრდა 2022 წლის შემდგომ, რისი მიზეზიც კლინკერისა და ქვანახშირის ფასის ზრდა იყო.
- **ბეტონის** წარმოება რეკორდულ 4.3 მლნ კუბურ მეტრამდე გაიზარდა 2023 წელს, რაც ინფრასტრუქტურული პროექტებით და გაზრდილი სამშენებლო აქტივობით აიხსნება. ბეტონის ფასის სწრაფი ზრდა 2022 წლიდან დაიწყო, რაც განაპირობა მაღალმა მოთხოვნამ და ცემენტის ფასის ზრდამ.
- **არმატურის** მოხმარებამ 558.0 მლნ კილოგრამს მიაღწია 2023 წელს. ამასთან, არმატურის ადგილობრივი წარმოება წლიურად 14.5%-ით შემცირდა და შესაბამისად მოთხოვნა იმპორტით დაკომპენსირდა 2023 წელს. აღსანიშნავია, რომ დაბალი ფასის გამო რუსეთიდან და ირანიდან არმატურის იმპორტი 2021-23 წლებში გაორმაგდა.

სარემონტო მასალების სექტორის შემოსავალი საშუალოდ 13.6%-ით გაიზარდა 2017-23 წლებში და \$2.4 მილიარდს მიაღწია 2023 წელს. აღსანიშნავია, რომ სარემონტო მასალების იმპორტი, ადგილობრივ წარმოებაზე უფრო მეტად იზრდება. ადგილობრივი წარმოება ყველაზე დიდი პლასტმასის პროდუქტებშია, თუმცა ხის და მეტალის პროდუქტები და კაბელების წარმოებაც საშუალოდ ორნიშნა ზრდის ტემპით იზრდება.

საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორის შემოსავალი საშუალოდ 8.2%-ით გაიზარდა 2018-23 წლებში და \$0.5 მილიარდს მიაღწია 2023 წელს. საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორი თითქმის მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული.

ავეჯის სექტორი დივერსიფიცირებულია და ბაზარზე ბევრი მცირე ინდივიდუალური მწარმოებელია. ავეჯის ბაზარზე დიდია არაფორმალური ეკონომიკის წილი და ადგილობრივი წარმოების რეალური მაჩვენებლები შეიძლება უფრო მაღალი იყოს.

სამშენებლო და სარემონტო მასალებზე მოთხოვნას განაპირობებს სამშენებლო სექტორის აქტივობა. მოსალოდნელია, რომ სამშენებლო და სარემონტო მასალებზე მზარდი მოთხოვნა შენარჩუნდება, რადგან მთავრობის ინფრასტრუქტურული დანახარჯები მაღალ დონეზე შენარჩუნდება, მშენებლობაზე 2023 წელს გაცემული რეკორდული ნებართვები მომდევნო წლებში გამოიწვევს მაღალ სამშენებლო აქტივობას, ახალაშენებული ბინების მაღალი გაყიდვები კი ხელს შეუწყობს მოთხოვნის შენარჩუნებას სარემონტო მასალებზე, ავეჯსა და ტექნიკაზე.



გალთ & თაგარტი
ვეფხისტ შპს-ს დაქვემდებარებას

საქტორის მიმოხილვა

საქტორის მიმოხილვა

სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის შემოსავალმა \$5.3 მილიარდს მიაღწია 2023 წელს

სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის სტრუქტურა და შემოსავალი საქართველოში, 2023

მთლიანი სექტორი \$5.3 მილიარდი

სარემონტო მასალები, ტექნიკა და ავეჯი \$3.4 მლრდ

სამშენებლო მასალები (მძიმე მრეწველობა) \$1.9 მლრდ

სარემონტო მასალები (მსუბუქი მრეწველობა) \$2.4 მლრდ

საყოფაცხოვრებო ტექნიკა \$0.5 მლრდ

ავეჯი & განათება \$0.5 მლრდ

- ცემენტი
- ბეტონი
- ასფალტბეტონი
- არმატურა
- ფოლადი (არმატურის გარდა)
- ინერტული მასალები
- სხვა პროდუქტები

- მიწები
- კარ-ფანჯარა
- კაბელები
- კერამიკული ფილები
- სამუშაო იარაღები
- აბაზანის პროდუქცია
- სხვა პროდუქტები


- გათბობის სისტემები
- გაგრილების სისტემები
- ტელევიზორები
- ლუმენები
- მაცივრები
- სხვა პროდუქტები

- ავეჯი
- განათება

სექტორის მიმოხილვა

სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის შემოსავალი საშუალოდ 12.3%-ით გაიზარდა 2018-23 წლებში

სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის შემოსავალი საქართველოში, \$



სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის შემოსავლების ზრდა განსაკუთრებით დაჩქარდა 2021 წლიდან, რაც რამდენიმე ფაქტორით აიხსნება:


1. პანდემიის შემდეგ სწრაფად აღდგენილი მოთხოვნით;
2. უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნით, რაც გამოწვეული იყო მიგრანტების შემოღინებით და აისახა 2022 წელს რეკორდულად გაზრდილ გაყიდვებში;
3. 2022-23 წლებში რეკორდულად გაზრდილი სამშენებლო ნებართვების მოცულობით;
4. სტაბილურად მაღალი ინფრასტრუქტურული ხარჯებით სახელმწიფოს მხრიდან;

აღსანიშნავია, რომ სექტორის შემოსავლების ზრდა 2022-23 წლებში უფრო მაღალი იყო დოლარში (+25.3% წ/წ 2022 წელს და +21.4% წ/წ 2023 წელს), ვიდრე ლარში (+13.4% წ/წ 2022-ში და +9.4% წ/წ 2023-ში), ლარის გამყარების გამო.

საქტორის მიმოხილვა

სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორი ძირითადად იმპორტდამოკიდებულია

სამშენებლო და სარემონტო მასალების ადგილობრივი წარმოება და იმპორტი, 2023



სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის შემოსავლების ორ მესამედზე მეტი იმპორტირებული საქონლის გაყიდვით გენერირდება. ადგილობრივი წარმოების და იმპორტის თანაფარდობა განსხვავებულია სხვადასხვა ქვე-სექტორებში.

სამშენებლო მასალების ქვე-სექტორის შემოსავლების მხოლოდ 35.5%-ს შეადგენს იმპორტირებული საქონელი, რადგან ინდუსტრიული პროდუქციის ადგილობრივი წარმოება მაღალია და ამასთან, პროდუქციის უმეტესობის ტრანსპორტირება რთული და ძვირია.


სარემონტო მასალების და ავეჯის ქვე-სექტორების შემოსავლების უდიდეს ნაწილს ასევე იმპორტირებული პროდუქცია შეადგენს და ადგილობრივი წარმოება მხოლოდ რამდენიმე ნიშურ სეგმენტში გვხვდება.

საყოფაცხოვრებო ტექნიკის ქვე-სექტორი თითქმის სრულად იმპორტდამოკიდებულია და ადგილობრივად მხოლოდ წყლის გამაცხელებლები იწარმოება, რომელიც ძირითადად ექსპორტზე გადის.

საქტორის მიმოხილვა

სამშენებლო და სარემონტო მასალების იმპორტის ნახევარზე მეტი თურქეთიდან და ჩინეთიდან შემოდის

სამშენებლო და სარემონტო მასალების, ავეჯის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2023




საქართველოს უდიდესი სავაჭრო პარტნიორი თურქეთია, რასაც ხელს უწყობს შედარებით იაფი ტრანსპორტირება და ბოლო წლებში სუსტი თურქული ლირა. მეორე ყველაზე დიდი პარტნიორი ჩინეთია, საიდანაც ძირითადად ტექნიკა, ავეჯი და ფოლადის პროდუქცია შემოდის.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი, Drewry

შენიშვნა: FEU – forty foot equivalent unit

Drewry-ს კონტეინერების გადაზიდვის გლობალური ინდექსი, \$/FEU*




გადაზიდვის ფასები რეკორდულად გაიზარდა 2021 წელს მიწოდების ჯაჭვის კრიზისის გამო, რამაც მასალებზე ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. მსგავსი საფრთხე გაჩნდა წითელი ზღვის კრიზისის გამო 2024 წელსაც, თუმცა ფასებზე ეფექტები ჯერჯერობით ბევრად მცირეა.


საქტორის მიმოხილვა

სამშენებლო მასალების ფასები დასტაბილურდა 2022 წლის მეორე ნახევრიდან

სამშენებლო მასალების ღირებულების ინდექსი, 1კვ19=100



იმპორტირებული სამშენებლო/სარემონტო მასალების ფასების ინდექსი ლარში, იან-20=100



2021 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა სამშენებლო ხარჯები მასალების გაძვირების გამო, თუმცა ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამშენებლო მასალების ფასები მეტნაკლებად დასტაბილურდა.

სამშენებლო და სარემონტო მასალებზე ფასების ზრდა 2021 წელს დაიწყო მოთხოვნის აღდგენის და ტრანსპორტირების ხარჯების მკვეთრი ზრდის გამო. ფასებმა პიკს 2022 წლის შუაში მიაღწია, თუმცა მას შემდეგ კლების ტენდენცია აქვს.




მონოპოლიზაცია მოქმედი ფაქტორები

მომხმარებლის მოქმედი ფაქტორები


საქართველოს ეკონომიკაში მშენებლობის სექტორის კონტრიბუცია მაკროეკონომიკაში

სამშენებლო სექტორის წილი მშპ-ში, %



მშენებლობა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი სექტორია. მშენებლობის სექტორის წილი მშპ-ში საშუალოდ 8-10%-ის ფარგლებში მერყეობდა 2015-23 წლებში.


მშენებლობის წილი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში, %



საცხოვრებელმა და არასაცხოვრებელმა (მათ შორის ინფრასტრუქტურის) მშენებლობამ კაპიტალის მთლიანი ფორმირების 47.6% შეადგინა 2022 წელს, რაც ქმნის მოთხოვნას სამშენებლო და სარემონტო მასალებზე.


მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები სამშენებლო ნებართვები რეკორდულად გაიზარდა 2023 წელს

სახელმწიფო კაპიტალური ხარჯები მშპ-სთან, %



სახელმწიფოს დანახარჯები ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მშპ-სთან მიმართებით 8-9%-ის ფარგლებში მერყეობდა 2022-23 წლებში და 2025-28 წლებში სავარაუდოა რომ ეს მაჩვენებელი 7%-ის ფარგლებში იქნება.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვები საქართველოში, მლნ კვ.მ.




მშენებლობაზე გაცემული ნებართვების დინამიკა, რომელიც რეკორდულად გაიზარდა 2023 წელს, სამშენებლო/სარემონტო მასალებზე მაღალი მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტორი იქნება.

მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები


ბინების მზარდი გაყიდვები ქმნის მოთხოვნას სარემონტო მასალებზე, ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე

გაყიდული ბინების რაოდენობა თბილისში, '000 ერთეული



რეკორდული 2022 წლის შემდეგ, 2023 წელს ბინების გაყიდვები მცირედით შენედა თბილისში. თუმცა, გაყიდვები მზარდია პირველად ბაზარზე, რაც ქმნის მოთხოვნას სარემონტო მასალებზე, ავეჯსა და ტექნიკაზე.

გაყიდული ბინების რაოდენობა ბათუმში, '000 ერთეული



უძრავი ქონების გაყიდვები შენედა ბათუმშიც 2023 წელს, თუმცა ეს აიხსნება 2022 წლის რეკორდულად მაღალი ბაზით.




გალთ & თაგარტი
ვეფხისტყაოსნის მემორიალი

სამშენებლო მასალების სექტორი


სამშენებლო მასალების სექტორი სამშენებლო მასალები მეტწილად ადგილობრივად იწარმოება

სამშენებლო მასალების სექტორის შემოსავალი საქართველოში, მლრდ \$



სამშენებლო მასალების სექტორის შემოსავლები თითქმის გაორმაგდა 2020-23 წლებში, რაც პანდემიის შემდეგ მშენებლობის სექტორის სწრაფი აღდგენით და ფასების ზრდით იყო განპირობებული.

ადგილობრივი წარმოების წილი სამშენებლო მასალების სექტორში საქართველოში, 2023




სამშენებლო მასალების დიდი ნაწილი ადგილობრივად იწარმოება (ბეტონი, ასფალტბეტონი, ცემენტი), ხოლო არმატურის და ფოლადის სხვა პროდუქციის ნაწილი იმპორტირებულია.

სამშენებლო მასალების სექტორი


ცემენტის ადგილობრივი წარმოება შიდა მოთხოვნას თითქმის სრულად აკმაყოფილებს

ცემენტის წარმოება და საგარეო ვაჭრობა საქართველოში, '000 ტონა



ცემენტის მოხმარება ძირითადად ადგილობრივი წარმოებით დაკმაყოფილდა 2023 წელს, ხოლო მცირე მოცულობის ცემენტის იპორტი თურქეთიდან (იპორტის 77.4%) და აზერბაიჯანიდან (22.1%) განხორციელდა.


ცემენტის საცალო ფასი



ცემენტის ფასები მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო 2018-21 წლებში, თუმცა სწრაფად დაიწყო ზრდა 2022 წლის შემდგომ. ფასების ზრდის მიზეზი საწარმოო მასალების - კლინკერისა და ქვანახშირის - ფასის ზრდა იყო.


სამშენებლო მასალების სექტორი კლინკერის ფასი დაახლოებით 34%-ით გაიზარდა 2022-23 წლებში

კლინკერის იმპორტი საქართველოში



კლინკერის იმპორტი საშუალოდ 11.2%-ით გაიზარდა 2018-23 წლებში, რაც ცემენტის ადგილობრივი წარმოების ზრდითაა განპირობებული. კლინკერის იმპორტი თითქმის სრულად აზერბაიჯანიდან განხორციელდა 2023 წელს.

კლინკერის იმპორტის ფასის ინდექსი, 2018=100




კლინკერის ფასი აშშ დოლარში დაახლოებით 34%-ით გაიზარდა 2022-23 წლებში, თუმცა ფასის ზრდის ეფექტი შედარებით მცირე იყო ლარში, კურსის გამყარების გამო.

სამშენებლო მასალების სექტორი

ქვანახშირის ფასების მკვეთრმა მატებამ მსოფლიო ბაზრებზე, ადგილობრივი წარმოება გაზარდა

ქვანახშირის იმპორტი საქართველოში



ქვანახშირის გლობალური ფასების ზრდის გამო, 2021-22 წლებში იმპორტირებული ქვანახშირი ნაწილობრივად საქართველოში მოპოვებული პროდუქციით ჩანაცვლდა.

წყარო: საქსტატი, ბლუმბერგი


ქვანახშირის ფასი, \$/მეტრული ტონა



მიწოდებისა და მოთხოვნის დისბალანსმა, გაზის მაღალ ფასებთან ერთად ქვანახშირის ფასები უპრეცედენტოდ გაზარდა 2021 წლიდან. ფასებმა პიკს რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ მიაღწია, თუმცა 2022 წლის შუიდან სტაბილიზაცია დაიწყო.


საშენებლო მასალების სექტორი ბეტონის წარმოება რეკორდულად გაიზარდა 2023 წელს

ბეტონის წარმოება საქართველოში, მლნ კუბური მეტრი



ბეტონის წარმოება 2023 წელს 13.0%-ით გაიზარდა რეკორდულ 4.3 მლნ კუბურ მეტრამდე, რაც ინფრასტრუქტურული პროექტებით და გაზრდილი სამშენებლო აქტივობით აიხსნება.

ბეტონის ფასის ინდექსი, 2018=100




ბეტონის ფასის სწრაფი ზრდა 2022 წლიდან დაიწყო, რაც განპირობებულია მაღალი მოთხოვნით და ცემენტის ფასის ზრდით, რომელიც ბეტონის ძირითადი საწარმოო მასალაა.

სამშენებლო მასალების სექტორი

ადგილობრივმა წარმოებამ არმატურის მოთხოვნის 55.0% დააკმაყოფილა 2023 წელს

არმატურის წარმოება და საგარეო ვაჭრობა საქართველოში, '000 ტონა



არმატურის მოხმარება საქართველოში საშუალოდ 6.4%-ით გაიზარდა 2018-23 წლებში და 558.0 ათას ტონას მიაღწია 2023 წელს.


საქართველოში არმატურის რამდენიმე მწარმოებელია, თუმცა ჯეოსთილი და რუსთავის ფოლადი, ორი ყველაზე მსხვილი კომპანია, ადგილობრივი პროდუქციის დაახლოებით 90%-ს აწარმოებს. საქართველოში არმატურა ძირითადად ჯართის გადამუშავების შედეგად იწარმოება. შესაბამისად, არმატურის ფასები ჯართის ფასის დინამიკაზე დამოკიდებულია. ფასზე მოქმედი ფაქტორებიდან ასევე მნიშვნელოვანია ელექტროენერჯის ფასებიც, რომელიც პირდაპირი მომხმარებლებისთვის 2021 წელს გაძვირდა და ამან ხარჭებზეც იქონია გავლენა.

ატლანტიკური კონკრეტის წარმოების 14.5%-იანი კლების გამო, 33.0%-ით გაიზარდა არმატურის იმპორტი.

სამშენებლო მასალების სექტორი


დაბალი ფასის გამო, რუსეთიდან და ირანიდან არმატურის იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2023 წელს

არმატურის იმპორტი ქვეყნების მიხედვით საქართველოში, '000 ტონა



არმატურის იმპორტი 2021-23 წლებში გაორმაგდა, რისი მიზეზიც რუსეთიდან და ირანიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი ნაკადებია.

არმატურის იმპორტის საშუალო ფასი ქვეყნების მიხედვით საქართველოში, \$/ტონა



ირანიდან და რუსეთიდან გაზრდილი იმპორტის მიზეზი დაბალი ფასია სხვა საიმპორტო ბაზრებთან შედარებით.

სამშენებლო მასალების სექტორი

არმატურის და ფოლადის ფასებზე მოქმედი ფაქტორები მეტწილად დასტაბილურდა 2023 წლიდან

რკინის მადნის და ჯართის ფასი




რკინის მადნის და ჯართის ფასის შეფერვა უკავშირდება ჩინეთში უკრაინის ომების კრიზისს, რის გამოც ფოლადზე მოთხოვნა საკმაოდ შეფერვაულია

ფოლადი და ჯართის ფასების 2021 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად მერყეობდა, რაც გამოწვეული იყო მიწოდების ჭაჭვების მოშლით და რუსეთ-უკრაინის ომით.

წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: HRC – Hot Rolled Coil

შავი ზღვის HRC* ფასი, \$/მეტრული ტონა




შავი ზღვის ფოლადის ფასი ბოლო 1 წლის განმავლობაში სტაბილურობას ინარჩუნებს, ორწლიანი არასტაბილურობის შემდეგ. სავარაუდოა, რომ ჩინეთში სუსტი მოთხოვნის და მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, მოთხოვნა და ფასი სტაბილურობას შეინარჩუნებს.



სარეგონტო მასალების, ავეჯის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორი


სარემონტო მასალების, ავიაქის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორი სარემონტო მასალების იმპორტი ადგილობრივი წარმოებაზე სწრაფად იზრდება

სარემონტო მასალების სექტორის შემოსავალი საქართველოში, მლრდ \$



საქართველოში სარემონტო მასალების სექტორის შემოსავალი საშუალოდ 13.6%-ით გაიზარდა 2018-23 წლებში და \$2.2 მილიარდს მიაღწია 2023 წელს.


იმპორტის განაწილება კატეგორიების მიხედვით, 2023



სარემონტო მასალების იმპორტი დივერსიფიცირებულია და მრავალი კატეგორიის პროდუქციას მოიცავს. 2023 წელს, ყველაზე მსხვილი საიმპორტო პროდუქტი იყო მილები, ფიტინგები და პროფილები (13.2%), კარ-ფანჯარა (11.1%) და აბაზანის პროდუქცია (6.7%).


სარემონტო მასალების, ავიაქის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორი საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორი სრულად იმპორტზეა დამოკიდებული

საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორის შემოსავალი საქართველოში, მლნ \$



საყოფაცხოვრებო ტექნიკით ვაჭრობის სექტორის შემოსავალი საშუალოდ 8.2%-ით გაიზარდა 2018-23 წლებში და \$0.5 მილიარდს მიაღწია 2023 წელს.


საყოფაცხოვრებო ტექნიკის იმპორტი კატეგორიების მიხედვით, 2023



ტექნიკის იმპორტის ყველაზე დიდ წილს 26.4%-ს გათბობისა და გაგრილების სისტემები იკავებს, დარჩენილი ნაწილი კი ძირითადად საოჯახო ტექნიკაზე მოდის.


სარემონტო მასალების, ავეჯის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორი ავეჯის სექტორში ბევრი მცირე ინდივიდუალური მოვაჭრე და მწარმოებელია

ავეჯის სექტორის შემოსავალი საქართველოში, მლნ \$



ავეჯის ბაზარზე ბევრი მცირე ინდივიდუალური მწარმოებელია და შესაძლოა, ბაზრის არაფორმალური ნაწილიც დიდი მოცულობის იყოს.

ავეჯის იმპორტი კატეგორიების მიხედვით, 2023



ავეჯის იმპორტი დივერსიფიცირებულია და მოიცავს სხვადასხვა ტიპის პროდუქციას. განათების წილის ჯამურ იმპორტში დაახლოებით 23.3%-ს შეადგენს.



გალტ & ტაგარტი
ვებინოვანი მენეჯერები

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი
evabochorishvili@gt.ge

საქტორული კვლევების უფროსი

კახა საყურაშვილი
ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი

ოთარ ცუხიშვილი
otsukhishvili@gt.ge

მისამართი:

ალექსანდრე ჰუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მონაწილეობა Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი.

ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.00